საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/169 "5" ოქტომბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ცანავას თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების ვადის გაგრძელების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/135 განკარგულებით სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავა მივლინებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2021 წლის 7 ოქტომბრამდე. ვინაიდან, არ აღმოფხვრილა ის საფუძვლები, რომელთა გამოც იქნა მიღებული ზემოთ მითითებული განკარგულება, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავას, მისივე თანხმობით, გაუგრძელდეს მივლინების ვადა 1 წლით, 2022 წლის 8 ოქტომბრამდე.

2. ლელა ცანავამ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი